საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-10/11342
21/11/2023

11342-15-10-2-202311210921

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ [redacted] უფლებების დარღვევის თაობაზე N6 დაწესებულების თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის, [redacted] განცხადებები, მოიპოვა და შეამოწმა საქმესთან დაკავშირებული ყველა რელევანტური და ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის ვიდეოჩანაწერები. ყოველმხრივი შემოწმების შედეგად დადგინდა, დროის მოკლე მონაკვეთში, ორჯერ დაირღვა პატიმრის უფლებები, რასთან დაკავშირებითაც მოგმართავთ წინამდებარე წინადადებით.

ორივე შემთხვევაში უფლების დარღვევის საკითხი უკავშირდება ერთი და იმავე სამართლებრივ საკითხს - პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსებას. **ერთ შემთხვევაში პრობლემურია დეესკალაციის ოთახში მოთავსების სამართლებრივი საფუძველი, ხოლო მეორე შემთხვევაში - მოთავსების ვადის დაუსაბუთებელი განგრძობითობა.**

სამართლებრივი დასაბუთება

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პატიმრები პენიტენციურ დაწესებულებებში იმყოფებიან ხელისუფლების ორგანოების სრული კონტროლის ქვეშ, რის გამოც მოწყვლადები არიან და იმ საფრთხის ქვეშ დგანან, რომ მათ წინააღმდეგ ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებენ.[1]

[1] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, თბილისი, 2009, 57.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

სახელმწიფოს ისედაც უპირობო უპირატესობა გააჩნია მის იურისდიქციას დაქვემდებარებული პირებისადმი, ხოლო ეს უპირატესობა და ძალაუფლება განსაკუთრებით მოჭარბებულია, როდესაც პირი იმყოფება სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ. ასეთ ძალაუფლებას სჭირდება შემაკავებელი ბერკეტები და კონტროლი. სწორედ ამიტომ, არსებითი მნიშვნელობისაა, რომ ყველა სახის თვითნებობა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება იყოს გამოვლენილი და რეაგირებული.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის ან/და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, იგი შეიძლება განთავსდეს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24 საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში.[2] დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში დასჯის მიზნით გადაყვანა.[3]

ამასთან, კანონმდებლობით განსაზღვრულია ის მაქსიმალური ვადა, რომლითაც პირი, შესაძლოა, განთავსდეს დეესკალაციის ოთახში. კერძოდ, ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში შეიძლება განთავსდეს იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რამაც მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსება განაპირობა, მაგრამ არაუმეტეს 72 საათისა.[4]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელების სახეებს, მოსამსახურისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და მოხსნის წესს.[5]

მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და მოსამსახურეთათვის დადგენილი ეთიკის ნორმების დარღვევა.[6]

---

[2] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 1.

[3] იქვე, პუნქტი 6.

[4] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 4.

[5] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება, მუხლი 1.

[6] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა", „ე".

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება საჯარო ინტერესს.[7] კოდექსის მიზანია ისეთი ქცევის წესების დადგენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსამსახურეთათვის პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას, სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ შესრულებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას.[8]

მოსამსახურეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მას საზოგადოების წინაშე აღებული აქვს საჯარო სამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ვალდებულებები.[9] მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის, სხვა პირების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.[10] მოსამსახურემ მასზე დაკისრებული ამოცანები უნდა შეასრულოს კანონის ფარგლებში, მიუკერძოებლად, ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.[11] მოსამსახურის ხელმძღვანელი პირები ყურადღებით უნდა ადევნებდნენ თვალყურს, რომ მათი მოსამსახურეები სწორად ასრულებდნენ საკუთარ სამსახურებრივ მოვალეობებს. მათ უნდა გამოავლინონ და აღკვეთონ ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედება.[12]

ყოველი მოსამსახურე, მიუხედავად მისი ადგილისა სამსახურებრივ იერარქიაში, პირადად აგებს პასუხს თავის ქმედებებზე და იმ დავალებებზე, რომლებსაც ის აძლევს მასზე დაქვემდებარებულ პირებს.[13] მოსამსახურე, როგორც სახელმწიფო წარმომადგენელი, ვალდებულია წინ აღუდგეს აშკარად უკანონო ბრძანებას.[14] მოსამსახურის მიერ კოდექსის მოთხოვნების დარღვევა ჩაითვლება სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევად.[15]

I. პირველი ეპიზოდი - 2023 წლის [redacted] ივლისს მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსება

ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას, მსჯავრდებულმა [redacted] მიუთითა, რომ 2023 წლის [redacted] ივლისს, დაახლოებით 18:00 საათზე, იმყოფებოდა

---

[7] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 1, პუნქტი 1.
[8] იქვე, მუხლი 1, პუნქტი 2.
[9] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 1.
[10] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2.
[11] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 4.
[12] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 7.
[13] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 3.
[14] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 4.
[15] იქვე, მუხლი 6.

საცხოვრებელ საკანში, რა დროსაც მასთან შევიდა N6 პენიტენციური დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელი.[16]

მსჯავრდებულის განმარტებით, თანამშრომლებმა უთხრეს, რომ გამომძიებელი იყო მასთან მისული და უნდა გადაეყვანათ საგამოძიებო ოთახში. მას ეჭვი შეეპარა მიწოდებულ ინფორმაციაში, ვინაიდან უკვე გვიანი იყო და არასამუშაო საათებში მასთან გამომძიებელი არ მივიდოდა, თუმცა, ვინაიდან მისი უარის მიუხედავად, თანამშრომლები მას დაჟინებით სთხოვდნენ წასვლას, საბოლოოდ მათ მოთხოვნას დაემორჩილა. როგორც შემდგომ გაირკვა, ის წაიყვანეს არა საგამოძიებო, არამედ დეესკალაციის ოთახში.

მსჯავრდებულის განმარტებით, მას არ დაურღვევია სამართლებრივი რეჟიმი და არც აგრესია გამოუხატავს. შესაბამისად, მისი დეესკალაციის ოთახში ჩაყვანის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

ხსენებული ფაქტის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა N6 პენიტენციურ დაწესებულებას და მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები გამოითხოვა.[17]

N6 პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ [redacted] მიერ 2023 წლის [redacted] ივლისს მიღებული [redacted] ბრძანება, [redacted] დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ, ეყრდნობა დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის პატაკებს.[18]

N6 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის პატაკში მითითებულია, რომ 2023 წლის [redacted] ივლისს [redacted] მორიგე განწესის წევრმა გადასცა მის მიმართ დისციპლინურ დარღვევასთან დაკავშირებით [redacted] მიერ გამოცემული განკარგულება.[19] შედეგად, მას მაღაზიით სარგებლობის უფლება შეეზღუდა 20 დღის ვადით. როგორც აღნიშნულია, მსჯავრდებული ამ ფაქტის გამო გახდა აგრესიული, დაიწყო მუქარა ნივთებისა და საკუთარი სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით.[20]

პატაკის ავტორი უთითებდა, რომ მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვეტილება მიიღეს პატიმრის დეესკალაციის ოთახში განთავსების თაობაზე.

---

[16] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის 2023 წლის 12 ივლისის შეხვედრა მსჯავრდებულთან.

[17] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 17 ივლისის N 15-10/6917 წერილი.

[18] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 24 ივლისის N 203820/23 წერილი.

[19] იქვე.

[20] იქვე.

უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის პატაკი კი, იმეორებს ზემოხსენებული ოქმის შინაარსს, ციტირებს მას და ასაბუთებს პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების მიზანშეწონილობას.[21]

ზემოაღნიშნული გარემოებების გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს მიმართა და 2023 წლის [redacted] ივლისით დათარიღებული [redacted] საცხოვრებელი საკნის ამსახველი ვიდეოჩანაწერების დაარქივება მოითხოვა.[22]

2023 წლის 18 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ დათვალიერდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 პენიტენციურ დაწესებულებაში იმ საცხოვრებელი საკნის შიდა და გარე სივრცეში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც მსჯავრდებული იმყოფებოდა დეესკალაციის ოთახში ჩაყვანამდე.

ვიდეოჩანაწერი ასახავს 2023 წლის [redacted] ივლისის 17:30 საათის შემდგომ პერიოდს. მსჯავრდებული ამ დროს იმყოფება საცხოვრებელ საკანში, სადაც ის მწოლიარე პოზიციაშია და უყურებს ტელევიზორს მშვიდად, არ ავლენს რაიმე აგრესიას.

17:40 საათზე მიდის საკნის კართან და ადებს ყურს, მისი სხეულისა და პირის მოძრაობით, არ ჩანს, რომ ვინმეს ეძახდა, სავარაუდოდ, ის ცდილობდა დერეფანში საუბრის მოსმენას. 18:15 საათზე იმეორებს იმავეს.

18:18 საათზე იღება სარკმელი და მსჯარდებულს აწვდიან A4 ზომის თაბახის ფურცელს, რის პარალელურადაც მას აგრეთვე აწვდიან საკვებს. მსჯავრდებული ზურგით მიყრდნობილია კარებთან კედელზე, ერთ ხელში საკვები უჭირავს, ხოლო მეორე ხელში - ხსენებული ფურცელი და ცდილობს მის წაკითხვას. აღნიშნული რამდენიმე წამი გრძელდება, რის შემდგომაც მსჯავრდებული არაფერს ამბობს, არ გამოხატავს რაიმე სახის აგრესიას, არც ვერბალურად და არც სხეულის ჟესტიკულაციით. ის ბრუნდება ისევ მაგიდასთან, კვლავ რამდენიმე წამით უყურებს გადაცემულ დოკუმენტს, შემდგომ კი - 18:25 საათზე, იწყებს ჭამას.

18:34 საათზე პატიმარი იყურება კარებისკენ, რადგან საკნის კარები გაიღო და დაწესებულების 3 თანამშრომელი შემოვიდა. მსჯავრდებული უახლოვდება მათ, საუბრობს მათთან 20 წამის განმავლობაში, გამოხატავს გაკვირვებას, თუმცა არ არის აგრესიული. საუბრის დასრულების შემდგომ, მსჯავრდებული შედის სველ წერტილში, სადაც იბანს ხელებს, შემდგომ იცვამს გრძელსახელოებიან ტანსაცმელს და ყოველგვარი აღელვებისა და წინააღმდეგობის გარეშე, მშვიდად მიყვება თანამშრომლებს.

18:38 საათზე პატიმარი უკვე დეესკალაციის ოთახში იმყოფება, მისი ემოციური მდგომარეობა შეცვლილია, ჩანს, რომ ანერვიულებულია, დაძაბული ესაუბრება

---

[21] იქვე.
[22] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 17 ივლისის N 15-10/6920 წერილი.

დაწესებულების ექიმს, ასევე ციხის თანამშრომლებს. მსჯავრდებული ხელის ჟესტიკულაციის ცდილობს ციხის თანამშრომლისთვის რაღაცის ახსნას, რა დროსაც ის ემოციურია.

აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახში განთავსებამდე, ასევე საცხოვრებელი საკნის დატოვების დროს, მსჯავრდებული არცერთ ეტაპზე არ გამოხატავდა აგრესიას, არ იქცეოდა გამომწვევად, არ საუბრობდა დაძაბულად.

წინამდებარე ეპიზოდის ანალიზი

მოცემულ შემთხვევაში, დეესკალაციის ოთახში პატიმრის გადაყვანას ფორმალურ საფუძვლად დაედო მისი მხრიდან აგრესიული ქმედება, კერძოდ, თვითდაზიანების მიყენებისა და ნივთების დაზიანების მუქარა.

N6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის პატაკში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებული აგრესიული გახდა მას შემდგომ, რაც მას გადასცეს [redacted] განკარგულება მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვის თაობაზე. თუმცა, დაარქივებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად ნათელი გახდა, რომ დაწესებულების თანამშრომლების მიერ მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში გადაყვანის შესახებ შედგენილი პატაკის შინაარსი სრულებით არ ასახავს რეალობას.

ზემოხსენებული პირველ რიგში დასტურდება იმით, რომ ვიდეოჩანაწერის მიხედვით, პატიმარი დაწესებულების თანამშრომლის მიერ დოკუმენტის გადაცემამდე და მას შემდეგაც იყო მშვიდი, არააგრესიული, არააღგზნებული. ის არ გამოხატავდა რაიმე სახით პროტესტს, მას თანამშრომლებისთვის არც მიუმართავს, არამედ, იყო საკანში, მიირთმევდა საკვებს და ტელევიზორს უყურებდა.

მსჯავრდებულის ქცევა არ შეცვლილა მისთვის დოკუმენტის გადაცემის შემდგომ. ის იმავე დინამიკით გრძელდება, არ შეინიშნება რაიმე სახის პროტესტი, ბრაზი მის ქმედებებში.

დოკუმენტის გადაცემის შემდგომ, ის არ იცვლის სხეულის მდგომარეობას, კვლავ მიყრდნობილია საკნის კართან მდებარე კედელზე, ერთ ხელში საჭმლით სავსე ჯამი უკავია და რამდენიმე წამის განმავლობაში ცდილობს გაერკვეს დოკუმენტის შინაარსში.

არ ჩანს მისი მხრიდან რაიმე სახის რეპლიკა, წამოძახილი ციხის თანამშრომლის მიმართულებით, ის რამდენიმე წამის შემდგომ ჯამითა და დოკუმენტით ხელში ბრუნდება მაგიდასთან. გამოიყურება დაბნეულად, გაკვირვებულად (სავარაუდოდ, შინაარსი ან მიზეზი არ ესმის განკარგულების), თუმცა არცერთ ეტაპზე არ ავლენს ბრაზს, აგრესიას. რამდენიმე წუთში კი ის იწყებს ჭამას.

ხსენებულ ქმედებათა მიმდევრობა ლოგიკურ ბმაში ვერ მოდის გაბრაზებული და აგრესიული პირის ქმედებასთან, რომელიც აპროტესტებს მისთვის დაწესებულ შეზღუდვას. ამის საპირისპიროდ, დაარქივებული ჩანაწერები განამტკიცებს [redacted]

[redacted] მიერ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლისთვის მიწოდებულ დამატებით გარემოებას - როგორც მან აღნიშნა, ციხის თანამშრომლებმა საკანში შესვლისას უთხრეს, რომ გამომძიებელთან უნდა წაეყვანათ, ხოლო როგორც გაირკვა ის დეესკალაციის ოთახში გადაყავდათ. აღნიშნული ინფორმაციის სისწორე კამერების ჩანაწერებითაც დადგენადია, ვინაიდან თანამშრომლების შესვლისას, მსჯავრდებული 20 წამის განმავლობაში ესაუბრება ციხის თანამშრომელს, რის შემდგომაც ის იბანს ხელ-პირს, იცვამს ტანსაცმელს და ყოველგვარი წინააღმდეგობისა და აღელვების გარეშე, მიყვება თანამშრომლებს. ხოლო დეესკალაციის ოთახში შესვლისას, როდესაც მას სხვა რეალობა დახვდა, ის უკვე ავლენს აღელვებას, დაძაბულად ესაუბრება ციხის ექიმს და თანამშრომლებს. აღნიშნული კი, ბუნებრივია, გამოწვეულია დეესკალაციის ოთახში მისი უსაფუძვლო განთავსებით.

დაარქივებული ჩანაწერები თანხვედრაში მოდის და დამატებით სარწმუნოობას სძენს მსჯავრდებულის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, მაშინ, როდესაც დაწესებულების თანამშრომელთა მიერ შედგენილი პატაკებისა და კამერების ჩანაწერებით ასახული რეალობა სრულიად აცდენილია ერთმანეთს.

მოპოვებული დოკუმენტაციის, მსჯავრდებულისგან მიღებული ინფორმაციითა და დაარქივებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერებით შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ პატიმრის მოთავსება დეესკალაციის ოთახში უკანონოდ განხორციელდა.

დეესკალაციის ოთახში მოთავსება არ შეიძლება ატარებდეს თვითნებურ ხასიათს, არამედ ის აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებს, რაც ამ შემთხვევაში ვერ დადასტურდა.

II. მეორე ეპიზოდი - 2023 წლის [redacted] აგვისტოდან [redacted] აგვისტოს პერიოდში მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში განგრძობითად მოთავსება

ფაქტობრივი გარემოებები

2023 წლის [redacted] აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას, რომელიც [redacted] დეესკალაციის ოთახში შედგა, მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ იქ იმყოფებოდა [redacted] აგვისტოდან. რაც შეეხება აღნიშნულის გამომწვევ მიზეზს, ის აცხადებდა, რომ მისივე საკნის საპირფარეშოში ყოფნისას ფეხი გაუსრიალდა და წყლის ავზის სახელურს დაეჯახა, რის შედეგადაც სახელური დაზიანდა. მან აღნიშნულის თაობაზე აცნობა ციხის თანამშრომლებს, ასევე ცდილობდა მათთვის აეხსნა, თუ როგორ მოხდა აღნიშნული ინციდენტი. გარკვეული დროის შემდგომ კი, მისთვის გაუგებარი მიზეზით, ჩაიყვანეს დეესკალაციის ოთახში. ხოლო 72 საათის გასვლის შემდგომ მას განუმარტეს, რომ რადგან წყლის ავზი არ იყო შეკეთებული, ამ მიზეზით ვერ ხერხდებოდა მისი დაბრუნება საცხოვრებელ საკანში. იგივე მიზეზი განუმარტეს შემდგომი 72 საათის ამოწურვის დროსაც.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს გასული იყო 160 საათზე მეტი, რა მომენტისთვისაც ის კვლავ დეესკალაციის ოთახში რჩებოდა. აღნიშნული დრო ორჯერ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ვადას.

ამავე დღეს სახალხო დამცველის რწმუნებულმა დაათვალიერა დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვის ჟურნალი.[23] ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერების თანახმად:

- [redacted] დეესკალაციის ოთახში შეყვანილია 2023 წლის [redacted] აგვისტოს 13:31 საათზე, ხოლო გამოყვანილია 2023 წლის [redacted] აგვისტოს 13:28 საათზე.
- [redacted] დეესკალაციის ოთახში შეყვანილია 2023 წლის [redacted] აგვისტოს 13:18[24] საათზე, ხოლო გამოყვანილია 2023 წლის [redacted] აგვისტოს 13:29 სააათზე.
- [redacted] დეესკალაციის ოთახში შეყვანილია 2023 წლის [redacted] აგვისტოს 13:30 საათზე, ხოლო ჟურნალის დათვალიერების მომენტისთვის ([redacted] აგვისტოს) ის კვლავ დეესკალაციის ოთახში რჩებოდა.

ჟურნალის ჩანაწერების მიხედვით, [redacted] 72 საათის გასვლის შემდგომ დეესკალაციის ოთახიდან მცირე დროით გამოჰყავდათ, რის შემდგომაც მას ისევ უკან აბრუნებდნენ. აღნიშნული განმეორდა ზედიზედ ორჯერ.

იმისათვის, რომ დადგენილიყო პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების კანონიერება, ასევე პატიმრის ამ სივრცეში განგრძობითად ყოფნის დასაბუთებულობა, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა N6 პენიტენციურ დაწესებულებას და მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები გამოითხოვა.[25]

N6 პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ ამავე [redacted] მიერ 2023 წლის [redacted] აგვისტოს მიღებული [redacted] ბრძანება, [redacted] დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ ეყრდნობა დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის პატაკებს.[26]

N6 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის პატაკში მითითებულია, რომ 2023 წლის [redacted] აგვისტოს მსჯავრდებულმა უნიტაზის ჩამრეცხი წყლის ავზი მილთან ერთად მოტეხა, რის გადასამოწმებლადაც ადგილზე შევიდნენ თანამშრომლები. საუბარში, [redacted] ავზის დაზიანების მიზეზი არ განმარტა

---

[23] დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვის ჟურნალი, დანართი N30 N-77.

[24] ჟურნალის 2023 წლის [redacted] აგვისტოს ჩანაწერის მიხედვით, მსჯავრდებული 72 საათის ამოწურვის შემდეგ, 13:28 საათზე გამოიყვანეს დეესკალაციის ოთახიდან, ხოლო ხელახლა შებრუნების თარიღად კი, იმავე დღის 13:18 საათია მითითებული. რაც, სავარაუდოდ, ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს.

[25] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 21 აგვისტოს N 15-10/8299 წერილი.

[26] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის N 241850/23 წერილი.

და დაიმუქრა თვითდაზიანების მიყენებით. მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია მასზე ინტენსიური კონტროლის დაწესება მის დამშვიდებამდე.[27]

უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის მოხსენებითი ბარათი კი, იმეორებს ზემოხსენებული პატაკის შინაარსს, ციტირებს მას და ასაბუთებს პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების მიზანშეწონილობას.[28]

ზემოაღნიშნული გარემოებების გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს მიმართა და 2023 წლის [redacted] აგვისტოდან [redacted] აგვისტოს ჩათვლით რელევანტური ვიდეოჩანაწერების დაარქივება მოითხოვა.[29]

2023 წლის 12 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ დათვალიერდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 პენიტენციურ დაწესებულებაში, იმ საცხოვრებელი საკნის შიდა და გარე სივრცეში, ასევე დეესკალაციის ოთახის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული იმ ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომლებშიც ასახული იყო მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში ჩაყვანამდე პერიოდი, ასევე დეესკალაციის ოთახში განგრძობითად განთავსების ეპიზოდები.

პირველი ვიდეოჩანაწერი ასახავს 2023 წლის [redacted] აგვისტოს 12:00 საათიდან შემდგომ პერიოდს. პატიმარი 12:38 საათამდე არ ჩანს კადრში, შემდგომ ის გამოდის საკნის საპირფარეშოდან და იცვამს ტანზე. მალევე ის მიდის კარებთან, სადაც იღება სარკმელი და ის იწყებს ციხის თანამშრომელთან საუბარს, საუბრობს მშვიდად, აუღელვებლად. 12:41 საათზე მას გადასცეს თაბახის ფურცელი. დერეფანში განთავსებული კამერების ჩანაწერების თანახმად, ციხის თანამშრომლის გვერდით დგას ქალბატონი (სავარაუდოდ, სოციალური მუშაკი), რომელიც თავად გადასცემს პატიმარს თაბახის ფურცელს.

ფურცლის გადაცემის შემდგომ, პატიმარი კვლავ აგრძელებს საუბარს დაწესებულების თანამშრომელთან. სხეულის მოძრაობითა და ჟესტიკულაციის მიხედვით, პატიმარი, სავარაუდოდ, ცდილობდა თანამშრომლისთვის აეხსნა საპირფარეშოს ინციდენტი, თუ რა მოხდა და როგორ დაზიანდა ავზის ნაწილი. 12:43 საათზე ის შედის საპირფარეშოში და გამოაქვს ავზი, ვიზუალურად აჩვენებს თანამშრომელს, თუ როგორ და სად დაზიანდა. შემდგომ ის სხეულით აკეთებს წაქცევის ინსცენირებას და ამ სახით უხსნის თანამშრომელს მომხდარის გარემოებებს. 12:46 საათზე თანამშრომელი ხურავს სარკმელს, ისე, რომ საკანში არ შედის.

პატიმარი კვლავ მშვიდადაა, საკანში უყურებს ტელევიზორს. 13:14 საათზე კვლავ იღება სარკმელი და პატიმარს დაწესებულების 1 თანამშრომელი ესაუბრება. მსჯავრდებული

---

[27] იქვე.

[28] იქვე.

[29] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 21 აგვისტოს N 15-10/8298 წერილი.

კვლავ განაგრძობს თანამშრომლისთვის ინციდენტის გარემოებების ახსნას, მისი სხეულის მოძრაობებიდან გამომდინარე. ამის შემდგომ პატიმარი და თანამშრომელი შედიან საპირფარეშოში, 13:16 საათზე თანამშრომელი გამოდის საკნიდან და თან აქვს ავზი, რომელსაც დერეფნის მხარეს, საკნის კარებთან იატაკზე დებს.

13:19 საათზე თანამშრომელი კვლავ შედის მსჯავრდებულთან ერთად საპირფარეშოში, შემდგომ კი, ორივენი ჯდებიან საკანში არსებულ სკამზე და საუბრობენ მშვიდად. აღნიშნული გაგრძელდა დაახლოებით 1 წუთის განმავლობაში, რის შემდეგად თანამშრომელი საკნიდან გადის.

13:21-13:30 საათის პერიოდში პატიმარი არის საკანში და უყურებს ტელევიზორს, არ ეტყობა რაიმე აღელვება.

13:26 საათზე დეესკალაციის ოთახში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების თანახმად, დაწესებულების თანამშრომელი შედის შიგნით და ათვალიერებს ოთახს, ამოწმებს უსაფრთხოებას. 13:31 საათზე კი პატიმარი შეყავთ დეესკალაციის ოთახში და მასაც ამოწმებენ. მსჯავრდებული ამ შემთხვევაშიც არ გამოხატავს რაიმე აგრესიას, შემოწმების შემდგომ ის წვება და იძინებს.

<u>მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში 72 საათის გასვლის შემდგომ, განგრძობითად დატოვების თაობაზე გამოცემულია [redacted] 2023 წლის [redacted] და [redacted] აგვისტოს ბრძანებები.[30]</u>

2023 წლის [redacted] აგვისტოს [redacted] ბრძანებაში [redacted] უთითებს, რომ უნდა შეწყდეს პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ [redacted] 2023 წლის [redacted] აგვისტოთი დათარიღებული ბრძანება და პატიმარი დაბრუნდეს საცხოვრებელ საკანში, სადაც მასზე განხორციელდება ვიდეომეთვალყურეობა.[31]

მითითებულ ბრძანებას საფუძვლად დაედო დაწესებულების უფლებამოსილი პირების პატაკი და მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმად, [redacted] დეესკალაციის ოთახში მოთავსების პერიოდში, კვლავ განაგრძობდა მუქარას თვითდაზიანებისა და სუიციდის შესახებ. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, დაწესებულების დებულების შესაბამისად, 72 საათიანი ვადის გასვლის გამო, ის დაბრუნებული უნდა იქნას საცხოვრებელ საკანში.

იმავე დღეს, 2023 წლის [redacted] აგვისტოს [redacted] გამოსცემს [redacted] ბრძანებას, სადაც უთითებს, რომ მსჯავრდებული უნდა მოთავსდეს N2 საცხოვრებელ კორპუსში არსებულ დეესკალაციის ოთახში. მიღებული ბრძანების საფუძვლად კი მითითებულია დაწესებულების თანამშრომელთა პატაკი და მოხსენებითი ბარათი.[32] ხსენებული დოკუმენტაციის თანახმად, პატიმარი დეესკალაციის ოთახში 72

---

[30] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის N 241850/23 წერილი.

[31] იქვე.

[32] იქვე.

საათის გასვლის შემდგომ, [redacted] აგვისტოს, დაახლოებით 13:18 საათზე, აგრძელებდა მუქარას, რომ საკანში დაბრუნების შემთხვევაში დააზიანებდა საკანში არსებულ ინვენტარს, მიიყენებდა თვითდაზიანებებს და მოწოდებების მიუხედავად, არ მშვიდდებოდა.

2023 წლის [redacted] აგვისტოს [redacted] ბრძანებაში [redacted] უთითებს, რომ უნდა შეწყდეს პატიმრის დეესკალაციაში მოთავსების შესახებ [redacted] 023 წლის [redacted] აგვისტოთი დათარიღებული ბრძანება და პატიმარი დაბრუნდეს საცხოვრებელ საკანში, სადაც მასზე განხორციელდება ვიდეომეთვალყურეობა.[33] ხსენებული ბრძანება ეყრდნობა დაწესებულების თანამშრომელთა პატაკს და მოხსნებით ბარათს, რომელთა თანახმად, მსჯავრდებული კვლავ თვითდაზიანების შესახებ მუქარას განაგრძობს, თუმცა, 72 საათიანი ვადის გასვლის გამო, იგი უნდა დაბრუნდეს საცხოვრებელ საკანში.

იმავე დღეს, 2023 წლის [redacted] აგვისტოს [redacted] გამოსცემს [redacted] ბრძანებას, სადაც უთითებს, რომ მსჯავრდებული უნდა მოთავსდეს N2 საცხოვრებელ კორპუსში არსებულ დეესკალაციის ოთახში. მიღებული ბრძანების საფუძვლად კი მითითებულია დაწესებულების თანამშრომელთა პატაკი და მოხსენებითი ბარათი.[34] დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ პატიმარი, დეესკალაციის ოთახში განთავსებიდან 72 საათის გასვლის შემდგომ, [redacted] აგვისტოს, დაახლოებით 13:30 საათზე, აგრძელებდა მუქარას, რომ დაზიანებდა საკანში არსებულ ინვენტარს, მიიყენებდა თვითდაზიანებებს და მოწოდებების მიუხედავად, არ მშვიდდებოდა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო მისი დეესკალაციის ოთახში განთავსება.[35]

პატიმრის დეესკალაციის ოთახის 2023 წლის [redacted] აგვისტოს ჩანაწერი იწყება 13:15 საათზე, რა დროსაც პატიმარი აკაკუნებს კარზე და ეძახის თანამშრომელს. 13:17 საათზე იღება საკნის კარი და დაწესებულების 3 თანამშრომელი შედის საკანში. ერთ-ერთი თანამშრომელი ესაუბრება [redacted] რომელიც გაკვირვებული გამომეტყველებით უსმენს მას და ჟესტიკულაციის თანახმად, კვლავ ავზის თაობაზე უხსნის საკითხს. 1 წუთი გაგრძელდა საუბარი, რის შემდგომაც თანამშრომელი ტოვებს საკანს და კარი იხურება. მსჯავრდებული არც თანამშრომლების მისვლამდე, არც მათი ყოფნის დროს არ გამოიყურებოდა აღელვებულად.

თანამშრომლების გასვლის შემდგომ მსჯავრდებული იწყებს ოთახში აქეთ-იქით სიარულს. 13:26 საათზე იღება სარკმელი და დაწესებულების თანამშრომელი ესაუბრება მსჯავრდებულს, რომელიც ისმენს საუბარს, რაც 1 წუთის განმავლობაში გრძელდება. მალევე, 13:32 წუთზე იხსნება სარკმელი და მსჯავრდებულს აწვდიან საკვებს. ის მალევე იწყებს ჭამას. **ჩანაწერი გრძელდება 13:40 საათამდე და მთლიანი ამ პერიოდის განმავლობაში მსჯავრდებულს არ დაუტოვებია დეესკალაციის ოთახი.**

2023 წლის [redacted] აგვისტოს ჩანაწერი იწყება 13:15 საათზე, პატიმარი გამოიყურება მშვიდად და მწოლიარე მდგომარეობაშია. 13:29 საათზე მასთან შედიან დაწესებულების

---

[33] იქვე.
[34] იქვე.
[35] იქვე.

თანამშრომლები, რის შემდგომაც ის წამოიწია და დაჯდა ლეიბზე. ერთ-ერთი თანამშრომელი ესაუბრება მსჯავრდებულს და ხელებს კარებისკენ იშვერს, მსჯავრდებული მას უყურებს, თუმცა, არ მოძრაობს, არის მშვიდად. თანამშრომელი აგრძელებს საუბარს, რის შემდგომაც მსჯავრდებული მას რაღაცას უხსნის და ხელს ვიდეოკამერისკენ იშვერს. თანამშრომლები 13:30 საათზე გადიან დეესკალაციის ოთახიდან, საუბარი 1 წუთზე ნაკლებ დროს გაგრძელდა და მას რაიმე დაძაბულობა არ მოჰყოლია არცერთი მხრიდან. **ჩანაწერი გრძელდება 13:40 საათამდე და მთლიანი ამ პერიოდის განმავლობაში მსჯავრდებულს არ დაუტოვებია დეესკალაციის ოთახი.**

წინამდებარე ეპიზოდის ანალიზი

მოცემულ შემთხვევაში, დეესკალაციის ოთახში პატიმრის გადაყვანას ფორმალურ საფუძვლად დაედო მისი მხრიდან აგრესიული ქმედება, კერძოდ, მან არ განმარტა წყლის ავზის დაზიანების მიზეზი, ასევე განახორციელა თვითდაზიანების მიყენების მუქარა.

მსჯავრდებული სახალხო დამცველის წარმომადგენელთან საუბრისას განმარტავდა, რომ ის საპირფარეშოში შემთხვევით წაიქცა, რა დროსაც დაზიანდა წყლის ავზის ერთ-ერთი ნაწილი. ამის თაობაზე მან თავადვე შეატყობინა ციხის თანამშრომლებს და რამდენჯერმე განუმარტა დეტალურად, თუ რა ვითარებაში მოხდა აღნიშნული.

დაარქივებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად დასტურდება მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ვინაიდან, 2023 წლის 09 აგვისტოს, დღის სხვადასხვა პერიოდში, მსჯავრდებული დაწესებულების სხვადასხვა თანამშრომელს, რამდენჯერმე უხსნის როგორც ვერბალურად, ისე სხეულის ჟესტიკულაციით, თუ როგორ დაზიანდა ავზი. ამავე მიზნით, ის ორჯერ შედის თანამშრომელთან ერთად საპირფარეშოში.

ყოველ ჯერზე, როცა თანამშრომელი მიდის პატიმართან, ის არის მონდომებული, რომ განმარტოს ავზის დაზიანების მიზეზები, ამასთანავე, არის მშვიდი.

მსჯავრდებულმა არა მხოლოდ თავისი ინიციატივით შეატყობინა თანამშრომლებს, რომ დაზიანდა ავზი, არამედ ყოველ ჯერზე ის არ აკლებდა მცდელობას, აეხსნა, თუ რა ვითარებაში მოხდა ხსენებული ფაქტი. ამასთანავე, არცერთ ეტაპზე ის არ ხდება ემოციური, აგრესიული, აღელვებული.

პატაკში მითითებული ინფორმაცია, რომ მსჯავრდებულმა არ განმარტა ავზის დაზიანების მიზეზები, ასევე იმუქრებოდა და იყო აღელვებული, სრულად აცდენილია რეალობას. მაშინ, როდესაც დაარქივებული ჩანაწერები თანხვედრაში მოდის და დამატებით სარწმუნოობას სძენს მსჯავრდებულის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

დაარქივებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად ვერ დასტურდება პატიმრის მიერ რაიმე სახის აღელვება, ემოციურობა. პირიქით, ის დეესკალაციის ოთახში

მოთავსების შემდგომაც კი არ ხდება აგრესიული. შედეგად, ციხის თანამშრომელთა მიერ 2023 წლის [redacted] აგვისტოს შედგენილი პატაკები არ მოდის თანხვედრაში რეალობასთან.

დეესკალაციის ოთახში მოთავსება არ შეიძლება ატარებდეს თვითნებურ ხასიათს, არამედ ის აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებს, რაც ამ შემთხვევაში ვერ დადასტურდა.

გარდა დეესკალაციის ოთახში განთავსების უსაფუძვლობისა, უკანონოა მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების ვადის განგრძობითობა 72 საათის გასვლის შემდეგ.

[redacted] 2023 წლის [redacted] და [redacted] აგვისტოს გამოცემული ბრძანებები (ჯამში 4 ბრძანება) იდენტურია და სინქრონულად იმეორებს არამხოლოდ ბრძანების შინაარსს, არამედ მის საფუძვლებს - ციხის თანამშრომელთა პატაკებსა და მოხსენებით ბარათებს.[36] სსენებულ დოკუმენტებში მსჯავრდებულის ემოციურ მდგომარეობაზე კეთდება აქცენტი, რომ ის განაგრძობს თვითდაზიანების მუქარას და მოწოდების მიუხედავად, არ მშვიდდება.[37]

დათვალიერებული ვიდეოჩანაწერების თანახმად, 2023 წლის [redacted]გვისტოს, [redacted] საათის გასვლის შემდგომ, როდესაც მსჯავრდებულთან შედის დაწესებულების 3 თანამშრომელი, მათგან ერთ-ერთი ამყარებს კომუნიკაციას [redacted] მსჯავრდებული არ გამოხატავს აღელვებას, არამედ ის გაკვირვებულია და სხეულის მოძრაობით, კვლავ ცდილობს ახსნას ავზის დაზიანების მიზეზები. მსჯავრდებული არც თანამშრომლების მისვლამდე, არც მათი ყოფნის დროს არ ყოფილა აღელვებული. მეტიც, ციხის თანამშრომლების გასვლიდან რამდენიმე წუთში მსჯავრდებულს აწვდიან საკვებს, რომელსაც ის იღებს და იწყებს ჭამას.

მსჯავრდებულის ქმედებათა ერთობლიობა გამორიცხავს იმის ალბათობას, რომ ის აღელვებული იყო და აპროტესტებდა რაიმეს. სხვა შემთხვევაში, მისი სხეულისა და სახის გამომეტყველება არ იქნებოდა მშვიდი და არ დაიწყებდა საკვების მირთმევას.

იმავე დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი 2023 წლის [redacted]აგვისტოს ეპიზოდზეც. კერძოდ, 72 საათის გასვლის შემდგომ დეესკალაციის ოთახში შედიან თანამშრომლები, რა დროსაც მსჯავრდებული მწოლიარე მდგომარეობიდან წამოჯდა. მსჯავრდებულს თითქმის არ უსაუბრია, მხოლოდ უსმენდა თანამშრომლის საუბარს. მხოლოდ ერთხელ ერთვება საუბარში, რა დროსაც ვიდეოკამერისკენ იშვერს ხელს. ამ შემთხვევაშიც, პატიმარი არ ყოფილა აღელვებული, არ შეუცვლია სხეულის მდგომარეობა, პოზიცია.

2023 წლის [redacted] და [redacted] აგვისტოს მსჯავრდებულის მხრიდან არ ჰქონია რაიმე სახის აღელვებას/ აგრესიას ადგილი. ძირითადად, ის მსმენელის როლშია, როდესაც მასთან შედიოდნენ ციხის თანამშრომლები, ხოლო მცირე მონაკვეთებში, როდესაც ის საუბარში ერთვებოდა, არ გამოხატავდა რაიმე აღელვებას.

---

[36] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის N 241850/23 წერილი.

[37] იქვე.

ამდენად, მოცემული ეპიზოდის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ არ არსებობდა მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში კანონით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ვადაზე მეტი ხნით დატოვების საჭიროება. 2023 წლის [redacted] და [redacted] აგვისტოთი დათარიღებულ პატაკებში მითითებული გარემოებები პატიმრის ემოციურ მდგომაროებასთან დაკავშირებით არ ასახავს რეალობას.

დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვის ჟურნალის თანახმად, როგორც 2023 წლის [redacted] აგვისტოს, ისე 2023 წლის [redacted] აგვისტოს მსჯავრდებული ჯერ გამოიყვანეს დეესკალაციის ოთახიდან 72 საათიანი ვადის ამოწურვისას, რაც, სულ, დაახლოებით 1 წუთი გაგრძელდა, შემდგომ კი ისევ დეესკალაციის ოთახში დააბრუნეს.

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა აღრიცხვის ჟურნალი ყალბ მონაცემებს შეიცავს. დათვალიერებული ვიდეოჩანაწერები ცხადყოფს, რომ [redacted] 2023 წლის [redacted] და [redacted] აგვისტოს მითითებულ საათებში არ დაუტოვებია დეესკალაციის ოთახი, არამედ, ის მთლიანი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად იმყოფებოდა განთავსების ადგილას, რითიც ცალსახად დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები.

შესაბამისად, ჟურნალში ასახული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოსდა [redacted] დროის მცირე ინტერვალებით დეესკალაციის ოთახიდან გამოჰყავდათ და შემდეგ ისევ უკან შეჰყავდათ, ცალსახად არ შეესაბამება სინამდვილეს. ამდენად, დაწესებულების უფლებამოსილმა პირებმა, ჟურნალში არასწორი ინფორმაცია განზრახ შეიტანეს.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე საქმის გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, როგორც პირველ, ისე მეორე ეპიზოდში იკვეთება მსჯავრდებულ [redacted] უფლებების დარღვევის აშკარა ფაქტები. დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრის მიმართ გამოვლენილი მსგავსი დამოკიდებულება ქმნის დაუცველობის განცდას, რაც შეუსაბამოა ადამიანის ღირსებასთან. ამდენად, მიმაჩნია, რომ სახეზეა დაწესებულების თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი ზემოთ განხილულ ორივე ეპიზოდთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, შესწავლილი დოკუმენტური მასალის საფუძველზე, დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება მსჯავრდებულ [redacted] უფლებების დარღვევის ფაქტებზე და მიიღოთ კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება ყველა პასუხისმგებელი პირის მიმართ.

გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,
ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი